

## ერთიანი კავკასიის პროგრამა და ფესტივალი (2014-2021)

### საგანგებო სიტუაციაში სამოქმედო გეგმა 2021

13 აგვისტო, 2021

(COVID19-თან ბრძოლის სტრატეგია - მოიცავს 12 აგვისტოს რეგულაციას)  
(ENGLISH VERSION BELOW)

„ერთიანი კავკასია“ არის სახელოვნებო-კულტურული არაკომერციული ინიციატივა ქვემო ქართლის მხარეში, რომელიც დაფინანსებულია, ერთი მხრივ, ევროკომისიის, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ (სსიპ „შემოქმედებითი საქართველოს“ სახით). პროექტის თანაორგანიზატორები არიან ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია და მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია. პროექტს ჰყავს არაერთი სხვა საჯარო და კერძო ინსტიტუციური მხარდამჭერი და პარტნიორი.

### პროგრამა

**მოკლე ინფორმაცია:** პროგრამა მოიცავს საერთაშორისო და ადგილობრივი ხელოვანების, არქიტექტორების, ტრენერებისა და ვიდეოგრაფების ინიციატივებს მარნეულის რამდენიმე სოფელში. ჩვენთვის მარნეული უნიკალური მუნიციპალიტეტია თავისი ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნებით. ჩვენი ღონისძიებები შემოიფარგლება ისეთი ინიციატივებით, როგორცაა ადგილობრივი სივრცეების მონაწილეობითი დაგეგმვა არქიტექტორების მიერ (იგულისხმება სოფლის ბიბლიოთეკა, სკვერი და სხვ.), კვლევაზე დაფუძნებული სახელოვნებო ინიციატივები (როგორცაა სახელოვნებო პროდუქტზე ორიენტირებული სოციო-კულტურული კვლევა სოფლებში, ან მოკლე ფილმის გადაღება ხელოვანების და ვიდეოგრაფების მიერ) და სხვ. პროგრამის განმავლობაში შექმნილი პროდუქტები წარმოჩინდება ჩვენს ონლაინ სივრცეებში და ასევე ფესტივალზე.

**მეტი დეტალი:** პროგრამის ფარგლებში 2021 წელს ვუმასპინძლებთ 40-მდე სრულწლოვან ახალგაზრდა პროფესიონალთა გუნდს, რომელიც განთავსდება სოფელ წერაქვში. ჩვენი გუნდის 70%-ზე მეტი უკვე ვაქცინირებულია. პროგრამის თარიღებია: 11-31 აგვისტო 2021.

### საგანგებო სიტუაციური სამოქმედო გეგმა (ნაწილი 1)

❖ ჩვენ ზედმიწევნით ვიცნობთ, ვიცავთ და ვხელმძღვანელობთ შემდეგი (და სხვა შესაბამისი) ოფიციალური რეკომენდაციებითა და საკანონმდებლო აქტებით:

- საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები სამუშეომო, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული ღონისძიებებისთვის“ (იხ. <https://ncdc.ge/api/api/File/GetFile/ffda3b9a-8f80-42c8-9607-eb9f2137d742>)
- იმავე დეპარტამენტის „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები ღია და დახურულ სივრცეში

სოციალური

ლონისძიებებისთვის“

(იხ. <https://ncdc.ge/api/api/File/GetFile/bdcd2209-2519-49ba-ab27-0fd29b3bb16a>)

- საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის [No. 322 დადგენილება](#) „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ და 2021 წლის 15 ივლისის იმავე სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანის [No. 359 დადგენილება](#).

- ❖ ამასთან, პროგრამის განმავლობაში (11-31 აგვისტო) რამდენჯერმე მოხდება პროგრამის მონაწილეების COVID19-ზე ადგილზე (მობილურ ლაბორატორიაში) ტესტირება: დაწყებამდე (10 აგვისტო) და შემდეგ ყოველ მესამე დღეს - 13, 16, 19, 22, 25, 28, 31 აგვისტოს იმისთვის, რომ მოხდეს ვირუსის შესაძლო გავრცელების ეფექტური პრევენცია. ასევე, პროგრამისა და ფესტივალის მთელი პერიოდის (11-31 აგვისტო) განმავლობაში ადგილზე გვეყოლება კვალიფიცირებული ექიმი. გარდა ამისა, მოხდება სკოლის ტერიტორიის დეზინფექცია პერიოდულად, მათ შორის პროგრამის დაწყებამდე (10 აგვ.) და დასრულების შემდეგ (31 აგვ.)

### ფესტივალი (გათვალისწინებულია 12 აგვისტოს რეგულაცია)

**მოკლე ინფორმაცია:** ფესტივალი წარმოადგენს ინტერდისციპლინურ და რეგულაციებზე ადაპტირებულ ღონისძიებას. ეს არის ერთგვარი შემაჯამებელი ღონისძიება ჩვენი პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ინიციატივებისა, სადაც წარმოვადგენთ შედეგებს. ფესტივალზე მსმენელს ონლაინ პლატფორმებზე შევთავაზებთ სხვადასხვა სახის შემოქმედებით პროექტს, მათ შორის ქართველი, ზოგადად კავკასიელი და ევროპელი მუსიკოსების მუსიკალური თანამშრომლობის უნიკალურ ნიმუშებს.

### მეტი დეტალი:

ფესტივალის (ონლაინ სივრცე) თარიღებია: 26-27-28-29 აგვისტო.

### საგანგებო სიტუაციური სამოქმედო გეგმა (ნაწილი 2)

- ❖ ზემოაღნიშნული საგანგებო გეგმა (ნაწილი 1) აქტიურია ფესტივალის განმავლობაშიც.
- ❖ საქართველოს მთავრობის 12 აგვისტოს განკარგულებით ხდება ფესტივალის სტანდარტული ფორმატის ტრანსფორმაცია, რაც გულისხმობს ფესტივალის საჯარო აქტივობების (ხალხის შეკრებასთან დაკავშირებული) გაუქმებას. მიუხედავად ამისა, რიგი პროექტებისა, მათ შორის: მუსიკალური თანამშრომლობა და პროდუქცია, არქიტექტურული ინიციატივები ერთიანი კავკასიის ქალაქში და სახელოვნებო ინიციატივები - განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით.

იმის გარდა, რომ ერთიანი კავკასიის პროგრამა და ფესტივალი დაიცავს ზემოთ აღნიშნულ რეკომენდაციებს და კანონს, ჩვენ ვიაზრებთ საკუთარ როლს და პასუხისმგებლობას წვლილი შევიტანოთ საქართველოს ძალისხმევაში დაამარცხოს COVID19. ჩვენი საერთაშორისო გუნდის ინიციატივით, წლევანდელი პროგრამა და ფესტივალი უნდა გამოვიყენოთ, როგორც პლატფორმა, რომელიც, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით, უზრუნველყოფს ვაქცინაციის მნიშვნელობის შესახებ ჯანდაცვის პროფესიონალებთან შეთანხმებულ, ჯანსაღ კამპანიას (ქართულ და უმცირესობების ენებზე) „ერთიანი კავკასიის“ ერთგული აუდიტორიისთვის და ადგილობრივი მოსახლეობისთვის ქვემო ქართლში.

დირექტორი: ირაკლი მიქიანი

ერთიანი კავკასიის საერთაშორისო გუნდი

## One Caucasus Program and Festival (2014-2021)

### Emergency Action Plan 2021

13th August, 2021

(Strategy against COVID19 – regulations of August 12 applied)

One Caucasus is an artistic-cultural non-commercial initiative in Kvemo Kartli region, which has been financed on the one hand by the European Commission and on the other hand by various public institutions in Georgia and in Poland. Co-organizers of the project are Administration of the State Representative in Kvemo Kartli and Marneuli Municipality.

### Program

**Brief report:** (One Caucasus) Program entails initiatives by International and local artists, architects, trainers and filmmakers held in various villages of Marneuli. We consider Marneuli a unique municipality for its ethnic and cultural diversity. Activities of 2021 carried out by One Caucasus in the region are limited to events such as participatory planning of local areas (ex. libraries, parks etc.) research-based artistic initiatives (for instance, socio-cultural research conducted in villages aimed at creation artistic products, short movies made by artists and filmmakers) and etc. Presentations of the results delivered during the program will take place in our social media and at the Festival.

**Further details:** For the duration of the Program, One Caucasus will host a team composed of around 40 young professionals. They will be placed in the village Tserakvi. More than 70% of our team-members are already vaccinated against COVID19. Program dates are August 11-31, 2021.

### Emergency Action Plan (Part 1)

- ❖ One Caucasus team has closely examined, thoroughly observed and used as guidelines the following official documents and legal acts:
  - "General recommendations in the sphere of museums, creative work and cultural activities with regard to COVID19" adopted by the department on Inspection of Labour Conditions, Ministry of Health of Georgia (See link: <https://ncdc.ge/api/api/File/GetFile/ffda3b9a-8f80-42c8-9607-eb9f2137d742>).
  - "General recommendations" for activities conducted indoors and outdoors regarding Covid 19" issued by the department on Inspection of Labour Conditions (See link: <https://ncdc.ge/api/api/File/GetFile/bdcd2209-2519-49ba-ab27-0fd29b3bb16a>).
  - [Ordinance No 322](#) of the Government of Georgia On the Approval of "Isolation and Quarantine Rules", issued on May 23<sup>rd</sup> 2020 and [Ordinance No. 359](#) issued on July 15, 2021 (an amendment to the earlier mentioned Ordinance No 322).
- ❖ Additionally, participants will be tested for COVID19 several times throughout the whole duration of the program (11-31 August) using the mobile lab service. Testing will take place in the following order: before the program begins (August 10) and afterwards on every third day until August 31. This is to effectively prevent possible spreading of the virus. Furthermore, during the entire period of the festival

participants will be able to have benefit of qualified doctor's service. Thus, the facilities of school will be occasionally disinfected.

## Festival (Regulations from 12<sup>th</sup> of August Applied)

**Brief note:** (One Caucasus) Festival is an interdisciplinary event that is adapted to the new health regulations from 12<sup>th</sup> of August. Festival finalizes activities conducted within the Program of the One Caucasus and creates the space for displaying of outcomes. Throughout the festival the audience will be offered a diversity of online projects in music, art and education, performed by local and international teams and musicians. They will present to the audience their own music, but what is the most important for us – newly created international and inter-genre music projects will be aired live.

**Further details:** Dates of the festival: 26-27-28-29<sup>th</sup> of August.

### Emergency Action Plan (Part 2)

- ❖ Emergency Action Plan (Part 1) is also active during the festival.
- ❖ By the new decree of the Government of Georgia on August 12, the standard format of the festival is being transformed, which means the cancellation of the festival's public activities (related to gathering people). Nevertheless, a number of projects, including music collaborations and production, architectural initiatives in the One Caucasus Town, and art initiatives, will be implemented in accordance with current legislation.

**Not only the One Caucasus program and festival takes responsibility for thoroughly observing the abovementioned regulations and legal requirements, but we also are willing to play the active role in an attempt of Georgia to fight against COVID19. International team of One Caucasus has decided to use the Program and Festival as a platform for the promotion of the vaccination process amongst local inhabitants of Kvemo Kartli Region by means of multilingual campaign (in Georgian, Armenian and Azerbaijani) in cooperation with central and local government representatives and health officials.**

**Director: Irakli Mikiani**

**&**

**the One Caucasus International Team**